საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №134/18-1

ყოფილი მოსამართლეების --- და --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, მოსამართლეების, --- და --- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძველი გახდა --- 2018 წლის 11 მაისის --- საჩივარი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველია, თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

საქმის მასალებით დადასტურდა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოსამართლე --- 2015 წლის 22 სექტემბრიდან, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება; ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე --- 2015 წლის მარტის თვიდან, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო ასევე შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

გამომდინარე იქიდან, რომ --- და --- აღარ ახორციელებენ სამოსამართლო უფლებამოსილებას, ისინი არ წარმოადგენენ ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სუბიექტებს. ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ

იმსჯელებს ზემოაღნიშნული მოსამართლეების მიმართ არსებულ საჩივართან დაკავშირებით, ვინაიდან, არ არსებობს მათ მიმართ, დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების საფუძველი.

შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლითა და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №134/18-1, ყოფილი მოსამართლეების, --- და --- მიმართ, შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი